

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ.ვანი თავისუფლების N65

15 მაისი 2019 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარბეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: გელა ღვიტიძე, ამირან ტალახაძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - მიხეილ სვანაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის ინფორმაცია 2019 წლის პირველ კვარტალში სოციალური პროგრამების შესახებ.

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ კომისიის წევრებს გააცნო 2019 წლის ოთხი კვარტლის სამუშაო გეგმა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ 14 პროგრამიდან საგრძნობლად მოიმატა დაფინანსებამ სამედიცინო დახმარების პროგრამაში, 8 მაისის მდგომარეობით გვყავს 347 ბენეფიციარი, აღნიშნულ რაოდენებაზე თანხობრივი დახმარება შეადგენს 125423.72 ლარს. წლის ბოლომდე სამედიცინო დახმარების პროგრამაში დასამატებელი გვექნება თანხის რაოდენობა. ასევე თვალში საცემი არის ონკოლოგიური დაავადების მქონე ადამიანთა რაოდენობა.

დანარჩენ პროგრამებში სტაბილურად მიდის თანხების ასახვა. დღეის მდგომარეობით გახარჯული ჯამი შეადგენს თითქმის ყველა პროგრამაზე გადანაწილებით 75960.87 ლარს.

კომისიის წევრებმა მოიწონეს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი საკითხი.

/დანართი 2/

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე